

სარჩევი:

აუდიტორული დასკვნა -----	2
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური ანგარიშგება -----	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	9
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება -----	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	11

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

შპს „ლილო მოლის“ დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლილო მოლის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ლილო-ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ლილო მოლის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ლილო ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 04 ოქტომბერს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2023 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან ნაღდი ფულისა და მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის თაობაზე ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურადაა აღწერილი ჩვენს დასკვნაში, კერძოდ ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში“. ჩვენს დამოუკიდებლობის ვართ შპს „ლილო ჯგუფის“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია, ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

დავადგინეთ, რომ არ არსებობს „აუდიტის ძირითადი საკითხი“, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს შპს „ლილო მოლისა“ და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ლილო ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასლების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით

უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად იმ შემთხვევაში მიიჩნევა თუ მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ისინი ცალკ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ აუდიტის პროცესში პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე იმის რისკი, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა. რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება შპს „ლილო ჯგუფის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასების დასაბუთებას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენასთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ლილო ჯგუფის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შესაძლებელია შპს „ლილო მოლი“ ან/და მისი შვილობილი კომპანიები უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს. ასევე, ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს ინფორმაციას ვაწვდით, სხვასთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის

პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

- ასევე მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და საკითხის შესახებ, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელია მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე ვაცნობთ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და შესაბამისად, აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება, ან უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორულ დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება. რადგან მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ამგვარი ქმედებით გამპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი გადააჭარბებს ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებათა აზრად

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს სხვა აუდიტორს და გამთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია რამაზ მეფარიშვილი. (აუდიტორთა

სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-305295)

შპს ტობ 2008 (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-573522)

პატივისცემით,

რამაზ მეფარიშვილი

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

შპს ტობ 2008

შპს „ლილო მოლისა“ და მისი შვილობილი კომპანიების

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2023 დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	84,152,964	83,702,070
არამატერიალური აქტივი	7	1,701,254	1,709,630
საინვესტიციო ქონება	8	34,096,541	33,804,679
გუდვილი	15	7,047,480	7,047,480
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		126,998,238	126,263,859
მარაგები	4	136,891	78,101
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,371,453	4,224,968
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	709,282	389,017
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		2,217,626	4,692,086
სულ აქტივები		129,215,865	130,955,945
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,797,580	1,797,580
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		27,968,472	29,111,422
გადაფასების რეზერვი		94,122,438	94,122,438
სულ კაპიტალი		123,888,490	125,031,440
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	3,780,804	4,614,312
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,780,804	4,614,312
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	567,646	280,670
მოკლევადიანი სესხები		0	281,400
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	10	978,925	748,123
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,546,571	1,310,193
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		129,215,865	130,955,944

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი ხათუნა ანთიძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება 31.12.2022 დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2021
ამონაგები	11	39,197,725	39,652,210
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		(1,527,831)	(1,376,190)
საერთო მოგება		37,669,894	38,276,020
საოპერაციო ხარჯები	13	(10,539,399)	(10,367,448)
ცვეთის ხარჯი		(550,080)	(1,881,323)
სულ საოპერაციო ხარჯები		(11,089,475)	(12,248,772)
არასაოპერაციო შემოსავალი	12	389,587	2,476,313
არასაოპერაციო ხარჯები	14	(4,166,007)	(3,582,774)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	14	(340,134)	556,826
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(4,116,554)	(549,636)
მოგება დაბეგვრამდე		22,463,861	25,477,613
მოგების გადასახადი		(3,581,959)	(3,465,580)
წმინდა მოგება (ზარალი)		18,881,902	22,012,033
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასებით მიღებული შემოსავალი	6	0	85,333,102
სულ სრული შემოსავალი		18,881,902	107,345,135

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი: ხათუნა ანთიძე

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	გადაფასებ ის რეზერვი	ჯამი
ნაშთი 31/12/2019წ მდგომარეობით	1,797,580	24,363,102		26,160,682
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		15,603,950		15,497,667
გადახდილი დივიდენდი		-14,644,698		-14,644,698
ნაშთი 31/12/2020წ მდგომარეობით	1,797,580	25,322,354		27,119,934
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		19,019,184		19,019,184
გადახდილი დივიდენდი		-17,934,242		-17,934,242
ნაშთი 31/12/2021წ მდგომარეობით	1,797,580	26,407,296		28,204,876
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		22,012,033		22,012,033
შესყიდვით შემოსვლა			8,789,336	8,789,336
გადაფასებით მიღებული			85,333,102	85,333,102
გადახდილი დივიდენდი		-19,307,907		-19,307,907
ნაშთი 31/12/2022წ მდგომარეობით	1,797,580	29,111,422	94,122,438	125,031,440
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		18,881,902		18,881,904
გადახდილი დივიდენდი		-20,024,852		-20,024,852
ნაშთი 31/12/2023 წ მდგომარეობით	1,797,580	27,968,472	94,122,438	123,888,490

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი: ხათუნა ანთიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2023 დასრულებული წლისთვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	22,463,861	25,477,613
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	550,080	1,881,323
მოგების გადასახადი	(3,581,959)	(3,465,580)
ფინანსური ხარჯი	340,144	(556,826)
(მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	312,678	706,505
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	20,084,806	24,043,036
სამუშაო კაპიტალში ცვლილება:		
შემცირება/(ზრდა) სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში	(58,790)	44,617
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,853,515	(215,907)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	286,975	(148,021)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საშემოსავლო გადასახადამდე და გაცემულ პროცენტამდე	23,166,506	23,723,724
გადახდილი პროცენტები	(198,390)	(521,447)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან	22,968,116	23,202,277
ფულადი ნაკადები სინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,521,640)	(608,623)
არამატერიალური აქტივების შეძენა		0
გრძელვადიანი ინვესტიციის შეძენა		(7,243,929)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	93,015	161,878
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,428,625)	(7,690,674)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	2,015,952	9,453,173
სესხის დაფარვა	(2,899,760)	(5,967,549)
დივიდენდის გადახდა	(20,024,852)	(19,307,906)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	(20,908,658)	(15,822,283)
წმინდა ცვლილება ფულში და ფულის ეკვივალენტებში	630,833	(310,679)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(310,568)	22,091
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით	389,017	677,606
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით	709,282	389,017

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი: ხათუნა ანთიძე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31.12.2023 დასრულებული წლისთვის (ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელსავაკო“ (ს/კ 28150506) დაფუძნებულია 1995 წლის 21 დეკემბერს საქართველოში.

2011 წლის მაისში კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება და გახდა შპს „ლილო მოლი“ (შემდგომში კომპანია). შემდგომ პერიოდში კომპანიამ მოახდინა შემდეგი კომპანიების შერწყმა:

- 2008 წლის დეკემბერში შპს „სეტ-ლის“;

- 2014 წლის 2 მარტს შპს „გიდარას“

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 112.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საიჯარო მომსახურება და ბაზრობის მოწყობა.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 373 ადამიანი (2022 წელს - 372).

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიაში პარტნიორთა წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

გია ანდლულაძე	01030006793	14.285%
ლევან ანდლულაძე	01017028197	1.00%
გიორგი გაგუა	01006001848	11.285%
თენგიზ გაგაშელი	01003002124	11.00%
ვაჟა უსანეთაშვილი	01019006353	13.285%
ილია შონია	01024012981	13.79%
გიორგი კვარაცხელია	01024007565	0.46%
ლევან გაგუა	01010002617	1.00%
ნიკოლოზ უსანეთაშვილი	01019007922	1.00%
კონსტანტინე კაპანაძე	01022001711	8.525%
დავით გაგაშელი	01017021360	2.285%
მარიკა გაგაშელი	01024028527	2.00%
დავითი გაგუა	01017021794	2.00%
ბაჩო კაპანაძე	01019063156	2.00%
იოსებ საყვარელიძე	221412232, NXHR79569	15.485%
გიორგი საყვარელიძე	221412219, NRF4153C0	0.1%
ილია ბადრიაშვილი	01017024187	0.50%

შვილობილი კომპანიები:

შპს ფოკუს სტუდო (2020 წლის 6 მარტამდე შპს „ლილო ტვ“) (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406170307,

დარეგისტრირდა 2016 წლის 25 თებერვალს საქართველოში.

შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისი საქართველო.

შვილობილი წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანიას. შპს „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 100%-ს.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შვილობილში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 7

შპს „ლილო ჩარტერი“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406167142,

დარეგისტრირდა 2016 წლის 25 იანვარს საქართველოში.

შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისი საქართველო.

საქმიანობა: ადგილის გაქირავება მიკროავტობუსებისათვის.

შპს „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 100%-ს.

მიმდინარე ეტაპზე არ ფუნქციონირებს

შპს „ჰელს მოლი“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406054549,

დარეგისტრირდა 2011 წლის 13 სექტემბერს საქართველოში.

შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112,

თბილისი საქართველო. „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 75%-ს.

შვილობილმა შეაჩერა საქმიანობა 2012 წლის 1 იანვარს.

შპს უნივერსალი-95 (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 208144257,

საწარმო რეგისტრირებულია 1995 წლის 4 დეკემბერს.

2022 წლის აპრილიდან „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 99,8%-ს.

შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 220 გ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი. შემდგომ პერიოდებზე კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფასს-ის საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ქვემოთაა განხილული.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი იყენებს სტანდარტების და ინტერპრეტაციების საუკეთესო ცოდნას, ახალი სტანდარტები, დამატებები და ინტერპრეტაციები არ გამოიცხადებს, რომ ფასს-ების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე და გამოქვეყნებამდე შესწორდეს ფინანსური ანგარიშგება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსურ ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით ასეთი მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

მკითხველისთვის უფრო სასარგებლო ინფორმაციას უზრუნველყოფს. კლასიფიკაცია ხორციელდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

ბ) შეფასების საფუძვლები

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით ან ოფციონის ფასის გამოთვლის მოდელებით, რომლებიც ასახავს ემიტენტის გარკვეულ გარემოებებს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებებისათვის პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ჯგუფის მეპატრონეებსა და მენეჯმენტს აქვთ სურვილი და პოტენციური საქმიანობა განაგრძონ. მსოფლოში განვითარებული COVID-19-ის ფონზე არსებული შეზღუდვების პირობებშიც, კომპანიის

ფუნქციონირებადობას საფრთხე არ შექმნია. მენეჯმენტს სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვარიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს). 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები ბასს 12-სთვის „მოგების გადასახადები“. ეს ცვლილება შემოღებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმის შედეგად

გამოქვეყნებული მეორე კომპონენტის სამოდელო წესების გარდაუვალი დანერგვის საპასუხოდ. ცვლილებები ითვალისწინებს დროებით გამოწვევების გადავადებული გადასახადების აღიარებისა და გამჟღავნების მოთხოვნისგან, რაც წარმოიქმნება მოქმედი, ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობიდან, რომელიც ახორციელებს მეორე კომპონენტის სამოდელო წესების დანერგვას. ბასს-ის ძალაში შესვლის თარიღის შესაბამისად, კომპანიებს გამოწვევების გამოყენება დაუყოვნებლივ შეუძლიათ, მაგრამ გამჟღავნების მოთხოვნები საჭიროა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

ამ შესწორებების გამოყენებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომელთა გამოყენებაც მანამდე კომპანიას არ დაუწყია, არის შემდეგი:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 20 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამოწვევისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური

ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან, ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, მაშინ, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხო ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით დაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული კურსით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთის ნორმები განისაზღვრება შემდეგნაირად:

შენობები - ნაგებობები	5%
ქსელები და სისტემები	8% - 20%
ეზოს კეთილმოწყობა	5%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	
მანქანა- დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ფლობენ საიჯარო შემოსავალის მისაღებად და/ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. თავდაპირველად საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯს (მაგალითად პროფესიული იურიდიული მომსახურების ჰონორარს, გადასახადს ქონების გადაცემაზე და გარიგების სხვა ხარჯებს).

შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გამოკლებული სააღრიცხო თარიღისათვის არსებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგ ნორმებით:

შენიშვნები 5%

კონტინენტები 5%

სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა ხდება, ყოველი სააღრიცხო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების აღირების გაუქმება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება აქტივის გასვლა/გაყიდვა ან საინვესტიციო ქონება ამოღებულია მუდმივი გამოყენებიდან და არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი მისი გაყიდვიდან. სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც მოხდა აქტივის აღირების გაუქმება

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. დაშვებები სასარგებლო მომსახურების ვადასა და ამორტიზაციის მეთოდზე გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივებისათვის, ამორტიზაცია გამოიანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის ღირებულებასა და სავარაუდო ნარჩენ ღირებულებას შორის გაყოფილი სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რომელიც დაანგარიშებულია ამორტიზაციის წრფივი, 15%-იანი ნორმით.

განუსაზღვრებული სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივები არ ამორტიზდება, მაგრამ ხდება მათი გაუფასურების ტესტირება.

საწარმოთა გაერთიანებები და გუდვილი

საწარმოების გაერთიანებისას გამოიყენება შეძენის მეთოდი. შეძენის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი.

თითოეული გაერთიანების შემთხვევაში კომპანია აფასებს შეძენილ საწარმოში არასაკონტროლო წილს სამართლიანი ღირებულების ან შეძენილ საწარმოს წმიდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით და არასაკონტროლო წილის სხვა კომპონენტებს მათი შეძენის დღეს სამართლიანი ღირებულებებით. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

თუ საწარმოების გაერთიანება ხორციელდება ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში კომპანიის მიერ ადრე ფლობილი წილების სამართლიანი ღირებულება შეძენის დღეს ხელახლა გადაფასდება შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით. შემდეგ ეს გათვალისწინებულია გუდვილის განსაზღვრებაში.

გუდვილი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც აღემატება არასაკონტროლო წილებთან დაკავშირებით აღიარებული თანხის და გადარიცხული თანხის ჯამს და ნებისმიერ მანამდე ფლობილ წილთან, კომპანიის წმინდა შეძენილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება აღემატება აღნიშნულ გადარიცხულ თანხას, კომპანია განმეორებით შეაფასებს სწორად მოახდინა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და აღებული ვალდებულებების იდენტიფიკაცია და განიხილავს გამოყენებულ პროცედურებს შეძენის დღეს ასაღიარებელი თანხების შეფასებისთვის. თუ განმეორებით შეფასებისას შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება კვლავ აღემატება გადარიცხულ თანხებს, მაშინ მოგება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი დაგვროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი შეძენის თარიღისთვის გადაეცემა კომპანიის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულს, რომლებიც ვარაუდის მიხედვით სარგებელს ნახავენ ამ გაერთიანებით, მიუხედავად იმისა შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიეკუთვნება თუ არა ამ ერთეულებს.

თუ გუდვილი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის და ოპერაციის ნაწილს, რომელიც ხორციელდება ამ ერთეულში, შეწყდება, მასთან დაკავშირებული გუდვილი აისახება ამ ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. ასეთ გარემოებებში გუდვილი შეფასდება ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შესადარი ღირებულებების საფუძველზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანაკარგები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს, ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკვოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად („ზარალის შემთხვევები“), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების კომპანიის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების კომპანიას და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი

გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;

მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან; მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;

არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან

უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ

(როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახავს ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება .

ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა:

- (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან
- (ბ) გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს (გარდა FVTPL ტიპის აქტივებისა) გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანების გაუფასურებას, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

მხოლოდ გაცემულ სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან საექვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო

ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომლებიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
კონტროლის გადაცემის შეფასება.

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად.

სამართლიანი ღირებულების აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. ამგვარი ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები.

ჩვეულებრივ, ამ კატეგორიაში მოხვედრილ ვალდებულებებზე არ ხდება გადაფასდება, ვინაიდან მათი სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა - მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

მიღებული სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხები აღირიცხება პერიოდის განმავლობაში გაწერული ხარჯის მიხედვით და მიეკუთვნება იმ პერიოდს როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	დოლარი	ევრო	ფუნტი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.692	2.9865	3.5516
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.704	2.8844	3.2581
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040	4.1737

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება.

შენიშვნა 3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 3 - ფული და ფულადი ექვივალენტები	12/31/2023	12/31/2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	520,079	285,999
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	77,293	5,854
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	597,372	291,853
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	111,910	97,164
სულ ფულადი სახსრები	709,282	389,017

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება ანგარიშგების თარიღისთვის მათ ამორტიზებულ ღირებულებას.

შენიშვნა 4 - სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2023	12/31/2022
საქონელი	80,102	47,487
ნედლეული და მასალები	19,101	18,679
აღჭურვილობა	9,354	3,083
დამხმარე მასალები	28,334	8,852
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	136,891	78,101
შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,351,347	4,070,107
მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ	0	142,357
სხვა მოთხოვნები	20,106	12,504
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,371,453	4,224,968

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება ანგარიშგების თარიღისთვის მათ ამორტიზებულ ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს: პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ და მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებს; მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს;

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა, ნაგებობა ეზოს კეთილმოწყობა	საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	მანქანა-დანადგარები, ქსელები და სისტემები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ხელოვნების ნიმუშები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული									

ღირებულება									
31/12/2020	9,089,118	6,327,279	4,020,175	4,915,503	878,636	414,775	9,134	621,020	26,275,640
შემოსვლა		192,794		35,069	24,310	113,119		982,874	1,348,165
გასვლა		-261,747		-2,712	-280,097	-100,384		-317,397	-962,337
31/12/2021	9,089,118	6,258,325	4,020,175	4,947,860	622,849	427,510	9,134	1,286,497	26,661,469
შემოსვლა		1,368,484		15,653	85,752	11,246		886,224	2,367,360
შემოსვლა შვილობილის შესყიდვით	7,646,626			147,619	11,870	9,607			7,815,722
აფასება	59,319,077	1,067,652							60,386,728
გასვლა		-40,053		-26,156	-44,379	-9,607		-1,719,989	-1,840,185
31/12/2022	76,054,821	8,654,409	4,020,175	5,084,976	676,092	438,756	9,134	452,732	95,391,095
შემოსვლა		238,840	0	604,627	6,316	78,691		164,541	1,093,014
გასვლა	-31,730			-74,299	-142,213				-248,243
31/12/2023	76,023,090	8,893,249	4,020,175	5,615,304	540,195	517,447	9,134	617,273	96,235,866
დაგროვილი ცვეთა									
31/12/2020		-3,614,122	-3,557,562	-4,429,345	(418,972)	-330,631	0	(57,859)	(12,408,491)
ცვეთის ხარჯი		-340,299	-91,716	-274,027	-76,963	-53,578		(22,199)	-858,782
გასვლა		63,485		1,119	2,537	96,519			163,660
31/12/2021		-3,890,936	-3,649,278	-4,702,254	-493,398	-287,690	0	-80,058	(13,103,613)
ცვეთის ხარჯი		-401,721	-44,038	-105,784	-86,575	-54,409			-618,887
ცვეთის შემოსვლა		-328,082		-30,108	-2,402	-6,845			-39,354
ცვეთის ანულირება		2,009,637							2,009,637
გასვლა				25,763	30,586	6,845			63,194
31/12/2022		-2,209,381	-3,693,316	-4,812,383	-551,788	-342,099	0	-80,058	-11,689,024
ცვეთის ხარჯი		-233,863	-138,292	-89,103	-56,132	-24,311			-541,701
გასვლა				8,822	139,001				147,823
31/12/2023		-2,443,243	-3,831,608	-4,892,663	-468,920	-366,410	0	-80,058	-12,082,902
საბ. ღირებულ.									
31/12/2020	9,089,118	2,713,158	462,613	468,158	84,663	82,996	9,134	500,875	13,867,149
31/12/2021	9,089,118	2,367,390	370,897	245,606	129,451	139,820	9,134	1,206,439	13,557,855
31/12/2022	76,054,821	6,445,028	326,859	272,594	124,304	96,657	9,134	372,674	83,702,070
12/31/2023	76,023,090	6,450,005	188,567	722,640	71,275	151,037	9,134	537,215	84,152,964

საწარმომ 2022 წელს მოახდინა უძრავი ქონების (ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების) გადაფასება (აფასება). შედეგები ასახულია როგორც ძირითადი საშუალებების ასევე საინვესტიციო ქონების საბალანსო მონაცემებში და შექმნილია გადაფასების რეზერვი

შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივი

	გუდვილი	სხვა არამატერიალური აქტივები	კონსერვაციის რეჟიმზე	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საწყისი ღირებულება					
31/12/2021	1,695,919	216,909	-	-	1,912,828
დანამატები					
აქტივების ჩამოწერა					
გადაფასება					
31/12/2022	1,695,919	216,909	-	-	1,912,828
დანამატები					
აქტივების ჩამოწერა					
გადაფასება					
31/12/2023	1,695,919	216,909	-	-	1,912,828
					-
აკუმულირებული ცვეთა					-
31/12/2021		(189,742)			(189,722)
ცვეთა პერიოდისათვის		(13,456)			(13,456)
ჩამოწერილი აქტივების					
ცვეთა					
გადაფასება					
31/12/2022		(203,198)			(203,198)
ცვეთა პერიოდისათვის		(8,376)			(8,376)
ჩამოწერილი აქტივების					
ცვეთა					
გადაფასება					
31/12/2022		(211,574)			(211,574)
					-
წმინდა ღირებულება					-
31/12/2021	1,695,919	27,167	-	-	1,723,086
31/12/2022	1,695,919	13,711	-	-	1,709,630
31/12/2022	1,695,919	5,335	-	-	1,701,254

კომპანია ფლობს ბუღალტრული პროგრამების ორის, 1 C და „Fina“-ს ლიცენზიებს.

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 8 - საინვესტიციო ქონება				
	მიწის ნაკვეთი	შენობა	კონტეინერი	სულ
საწყისი ღირებულება				
31/12/2021	74,529	24,304,875	55,738	24,435,142
დანამატები		1,153,521		1,153,521
აქტივების გასვლა		(261,965)	(612)	(262,577)
გადაფასება	486,405	8,969,391		9,455,796
31/12/2022	560,934	34,165,822	55,126	34,781,882
დანამატები		292,949		292,949
აქტივების გასვლა		0	(1,879)	(1,879)
გადაფასება				
31/12/2023	560,934	34,458,771	53,247	35,072,952
აკუმულირებული ცვეთა				-
31/12/2021		(13,082,655)	(51,863)	(13,134,519)
მიღებული აქტივების ცვეთა		(4,355)		(4,355)
ცვეთა პერიოდისათვის		(1,317,124)	(2,734)	(1,319,858)
ჩამოწერილი აქტ. ცვეთა			589	589
ცვეთის ანულირება		13,480,940		13,480,940
31/12/2022		(923,194)	(54,008)	(977,203)
ცვეთა პერიოდისათვის				
ჩამოწერილი აქტ. ცვეთა			791	789
ცვეთის ანულირება				
31/12/2023		(923,194)	(53,217)	(977,203)
წმინდა ღირებულება				-
31/12/2021	74,529	11,222,220	3,874	11,300,623
31/12/2022	560,934	33,242,628	1,117	33,804,679
31/12/2023	560,934	33,535,577	30	34,096,541

კაპიტალი

დედაკომპანიის კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შედგება 1 აქციისგან ღირებულებით 1,797,580 ლარი (2021:1,797,580 ლარი) 2023 წლის განმავლობაში დედაკომპანიის მიერ გამოცხადებულმა და გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 20,024,852 ლარი (2022: 19,307,907 ლარი).

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას (ცნობილი როგორც მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი). ცვლილების მიხედვით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილებით, არ იქნება აღიარებული ფინანსური მდგომარეობის

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული პერიოდისთვის

ანგარიშგებაში. მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს IFRS 1, რომლის მიხედვითაც დასაშვებია პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენება გადავადებული გადასახადის საწყისის ნაშთებთან მიმართებით.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ეხება დამატებითი ღირებულების გადასახადს. ცვლილების მიხედვით მყიდველის მიერ წინასწარ მიღებული თანხები წარმოადგენს დაბეგვრის ობიექტს. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12/31/2023 12/31/2022

სავაჭრო ვალდებულებები	295,166	267,625
ვალდებულება თანამშრომლების წინაშე	0	1
საგადასახადო ვალდებულებები	268,968	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,512	13,044
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	567,646	280,670

კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ ამორტიზებულ ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში.

	12/31/2023	12/31/2022
გრძელვადიანი სესხები(ლარი)	0	0
გრძელვადიანი სესხები(ვალუტაში)	3,780,804	4,614,312
სულ გრძელვადიანი სესხი	3,780,804	4,614,312
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (ლარი)	0	0
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (ვალუტაში)	978,925	748,123
სულ გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	978,925	748,123
მოკლევადიანი სესხი	0	281,400
სულ გადასახდელი სესხი	4,759,729	5,643,835

კომპანიას 7 წლიან სესხად აღებული აქვს 2,000,000 ევრო წლიური 7.5%-იანი განაკვეთით.

შენიშვნა 11 - ამონაგები

	12/31/2022	12/31/2022
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	30,522,778	32,544,450
შემოსავალი კომუნ. მომსახურების რეალიზაციიდან	1,646,070	1,515,742
შემოსავალი ტაქსის ლიცენზიების რეალიზაციიდან	20,348	14,722
ქონების გადაფორმებიდან (ქვეიჯარა)	207,015	240,878
შემოსავალი შლავგბაუმიდან	4,514,026	3,029,094
შემოსავალი ჩეკებიდან	1,181	1,280
შემოსავალი საწყობიდან	2,007,243	1,888,601
სხვა შემოსავლები	279,064	417,443
სულ შემოსავალი	39,197,725	39,652,210

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ. დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 12 - არასაოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
დადებითი საკურსო სხვაობა	241,258	159,936
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	148,329	2,316,377
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	389,587	2,476,313

შენიშვნა 13 - საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
ხელფასი	5,254,653	4,830,560
საკონსულტაციო ხარჯი	421,881	431,517
ცვეთა	550,880	1,881,323
დაზღვევა	117,206	117,536
იჯარა	51,413	2034
რემონტი	174,969	138,723
დაცვა	316,754	255,185
სამეურნეო	559,094	612,118
კომუნალური ხარჯები	2,853,807	2,958,109
ბანკის სამომსახურება	4,150	17,794
წარმომადგენლობითი ხარჯი	55,126	53,151
სხვა საოპერაციო ხარჯები	421,885	521,071
სხვა საერთო ხარჯები	729,544	429,651
სულ საოპერაციო ხარჯები	11,089,477	12,248,772

შენიშვნა 14 - არასაოპერაციო ხარჯები და ფინანსური ხარჯი

	31/12/2023	31/12/2022
ფინანსური შემოსავალი/ ხარჯი	-340,134	+556,826
კურსთაშორის სხვაობა	553,937	866,440
უიმედო და საექვო ვალის ხარჯი	2,987,757	1,716,898
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	602,921	999,435
სულ არასაოპერაციო ხარჯები	4,166,007	3,582,774

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული პერიოდისთვის

- საკრედიტო რისკი: დანაკაგრის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი

- სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	12/31/2023	12/31/2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულადი ექვივალენტები	709,282	389,017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,371,453	4,224,968
სულ ფინანსური აქტივები	2,080,735	4,613,985
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	567,646	280,670
მიღებული სესხები	4,759,729	5,643,835
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,327,375	5,924,475

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს			
აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დონე 1	დონე 2	დონე 3
ფული და ფულადი ექვივალენტები	709,282		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			1,371,453
სულ	709,282		1,371,453
აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულადი ექვივალენტები	389,017		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			4,224,968
სულ	389,017		4,224,968

საკრედიტო რისკი

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული პერიოდისთვის

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით.

კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,371,453			1,371,453
ფული და ფულის ეკვივალენტები	709,282			709,282
სულ ფინანსური აქტივები	2,080,735			2,080,735
31 დეკემბერი 2022				
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,224,968			4,224,968
ფული და ფულის ეკვივალენტები	389,017			389,017
სულ ფინანსური აქტივები	4,613,985			4,613,985

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,371,453			1,371,453
ფული და ფულის ეკვივალენტები	709,282			709,282
სულ ფინანსური აქტივები	2,080,735			2,080,735
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	567,646			567,646
მიღებული სესხები	978,925	3,371,388	409,416	4,759,729
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1,546,571)	(3,371,388)	(409,416)	(5,327,375)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	534,164	(3,371,388)	(409,416)	(3,246,640)
31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,224,968			4,224,968

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ. დასრულებული პერიოდისთვის

ფული და ფულის ეკვივალენტები	389,017			389,017
სულ ფინანსური აქტივები	4,613,985			4,613,985
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	280,670			280,670
მიღებული სესხები	1,029,523	3,309,320	1,304,992	5,643,835
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1,310,193)	(3,309,320)	(1,304,992)	(5,924,505)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,303,692	(3,309,320)	(1,304,992)	(1,310,520)

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი.

კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები (ლარში)	ლარი	დოლარი, 1USD=2,692 ლარი	ევრო 1EUR=2.9865 ლარი	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	632,002	77,280	0	709,282
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,371,453			1,371,453
სულ ფინანსური აქტივები	2,003,455	77,280		2,080,735
ფინანსური ვალდებულებები (ლარში)				
სესხები	0	0	4,759,729	4,759,729
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	567,646	0	0	567,646
სულ ფინანსური ვალდებულებები	567,646	0	4,759,729	5,327,375

სავალუტო რისკის მგრძნობელობა		
31 დეკემბერი 2023 წელი	აშშ დოლარის გავლენა	

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ. დასრულებული პერიოდისთვის

	დოლარი +20%	დოლარი -10%
მოგება(+)/ზარალი(-)	-7,729	+3,865
	ევრო +20%	დოლარი -10%
მოგება(+)/ზარალი(-)	-951,945	+475,973

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები

	12/31/2023	12/31/2022
მენეჯმენტის ხელფასი	189,297	173,856
შპს ფოკუს სტუდიო-ს მომსახურება	141,712	141,712

ბალანსის შემდგომში მოვლენები

2024 წლის 11 თვის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 18,965,623 ლარის ოდენობის დივიდენდი.

შ.პ.ს „დილო მოლო“-სა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება 2023

საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა
- ფილიალების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია
- კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
- აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- წლიური ფინანსური ანგარიშგება ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები
- ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

„ლილო მოლის“ საქმიანობის მიმოხილვის სარჩევი

- საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა
- სამსახურის სტრუქტურა
- წარმოებული კვლევები და განვითარების მიმოხილვა
- კონკურენტები
- ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ
- შვილობილი კომპანიები
- კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა
- სუბიექტის განვითარების გეგმები
- ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად
- საკრედიტო , საბაზრო ლიკვიდურობის და ფინანსური ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ.
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია
- აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები ძირითად რისკები და გაურკვევლობები სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

მიმართვა

ძვირფასო საზოგადოებავ,

ყოველთვის დიდი ინტერესს იწვევს საზოგადოებაში კითხვა თუ რა არის „ლილო მოლის“ კვ წლიანი წარმატების საწინდარი. საიდუმლოს გასაღები კი მუდმივად განვითარებაზე ზრუნვა, მომხმარებელზე ორიენტირება, ჩვენი ერთგული, მიზანდასახული თანამშრომლები, სწორი მენეჯმენტი და მეწარმეებთან კოლეგილური ურთიერთობაა.

კომპანია „ლილო მოლი“ ყოველთვის ზრუნავს თავისი მომხმარებლის და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით 2019 წელს „ლილო მოლის“ მენეჯმენტში ცალკე შეიქმნა შრომის უსაფრთხოების სტრუქტურული ერთეული. ჩვენ დასახული გვაქვს და ვცდილობთ შევინარჩუნოთ შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტები და ვიმოქმედოთ ამ სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ჩვენი მიზნების მიღწევას ვუზრუნველყოფთ ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხების დაცვის საქმეში კომპლექსური მიდგომების დანერგვითა და უსაფრთხოების დაცვის მუდმივი გაუმჯობესებით.

2021 წელს „ლილო მოლი“ იყო პირველი სავაჭრო ცენტრი, რომელმაც მაშინდელი საერთაშორისო კოვიდ სტანდარტის ყველა წესი დააკმაყოფილა, და ეკონომიკური ზარალის მიუხედავად შეძლო მეწარმეებისთვის სხვადასხვა ფორმატის შეღავათების დაწესება (შეზღუდვების პერიოდში იჯარის 70%-მდე შემცირება, დოლარის სპეც. კურსი და ასე შემდეგ) და მომხმარებლისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოში ფუნქციონირების აღდგენა.

ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს იმისთვის, რომ „ლილო მოლის“ საქმიანობა, სწორი და თანმიმდევრული მენეჯმენტის მუშაობა იყოს მისაბამი და სამაგალითო სხვა კომპანიებისთვის მომდევნო წლებშიც.

ყოველწლიურად კომპანია ისახავს განვითარების ახალ გეგმას, 2024 წელს ჩვენი გენერალური გეგმა გულისხმობს: უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის და მეიჯარეებისთვის, საბითუმო სექტორის რეკონსტრუქციას, სასაწყობე მეურნეობის გაზრდას და სხვ.

2021-2022 წელს მიღწეული შედეგები გვარწმუნებს, რომ ხელსაყრელ გარემოებებში კომპანია შეძლებს მიზანდასახულად და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით განაგრძოს გზა წარმატებისა და განვითარებისაკენ.



საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

კომპანია “ელსავაკო”, ახლა კი - უკვე “ლილო მოლი” დაარსდა 1991 წელს. ეს იყო პირველი კომერციული ცენტრი, რომელმაც მიიღო ხელისუფლების ოფიციალური ნებართვა სამეწარმეო საქმიანობაზე.

წლების განმავლობაში “ლილო მოლის” პროდუქციით მარაგდება არა მარტო საქართველოს რეგიონები, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნების დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა რეგიონული კონფლიქტები მოუგვარებელი იყო. 2019 წლის მონაცემებით, სავაჭრო ცენტრი „ლილო მოლის“ მიერ საქართველოს ბიუჯეტში შეტანილი თანხა ქვეყნის ჯამური ბიუჯეტის 2%-ს შეადგენს.

„ლილო მოლმა“ მუშაობა მაშინ დაიწყო, როცა ქვეყანაში უკიდურესად მძიმე ვითარება გახლდათ როგორც ეკონომიკური, ისე - პოლიტიკური თვალსაზრისით. მაშინდელი „ლილოს ბაზრობა“ თვითგადარჩენის სამოქალაქო ბიზნესარეალად იქცა. სამეწარმეო საქმიანობაში ჩაერთვნენ დამოუკიდებელი სუბიექტები, რომლებსაც „ლილოს ბაზრობის“ ადმინისტრაციამ საკუთარ ბიზნესის დამოუკიდებლად მართვის საშუალება მისცა.

მეწარმეები თავად განსაზღვრავენ პროდუქტის ფასს და ადმინისტრაციის მიერ მათთვის მიწოდებული სერვისიც შესაბამისი ტარიფების რეინჯს ექვემდებარება. წლების განმავლობაში პროცესების თვითდინებით მიმდინარეობამ ლილოს განვითარების გეგმებიც მეწარმეების ყოველდღიურ მოთხოვნებს შეუსაბამა.

„ლილო მოლის“ დღევანდელი ინფრასტრუქტურული გარემო განაპირობა მეწარმეების ინტერესებმა, რადგან თუ ადმინისტრაცია მათი მომსახურების დონეს აამაღლებს და მეტ კომფორტს შესთავაზებს, მაშინ მეწარმე ვალდებული იქნება, ფასი გაზარდოს პროდუქტზე, რაც საბოლოოდ წამგებიანად აისახება როგორც მეიჯარესა და ადმინისტრაციაზე, ისე - მომხმარებელზე.

სწორედ ამიტომ უკვე 33 წელია, ერთმანეთის ინტერესების და პარტნიორული შიდაპოლიტიკის გათვალისწინებით, „ლილო მოლი“ წარმატებულ და უკონკურენტო ბიზნესსაქმიანობას განაგრძობს.

ამჟამად „ლილო მოლი“ 35 ჰექტარზე გაშენებული ამიერკავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო ცენტრია, როგორც საცალო, ისე - საბითუმო ვაჭრობის სფეროში. ის ახორციელებს კომერციული ცენტრის მენეჯმენტს, რაც, ძირითადად, მის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ფართების იჯარით გაცემით გამოიხატება. ამჟამად „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე 6000 მაღაზია. მოქმედებს მეწარმეთა ის კონტინგენტი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობითაა დაკავებული, დაკომპლექტებულია მრავალეთნიკური ჯგუფებით. მრავალფეროვანია ის პროდუქცია, რომლის საცალო და საბითუმო რეალიზაციაც ხორციელდება სავაჭრო ცენტრში.



სტრუქტურა

ბიზნესის განვითარების
საბჭო

დირექტორატი

დამფუძნებელთა
კრება

სამეთვალყურეო საბჭო

გაყიდვებისა და
ოპერაციების საბჭო

გენერალური დირექტორი

შრომის
უსაფრთხოების
სამსახურის
ხელმძღვანელი

ადმინისტრაციული
სამსახური

საწყობის მენეჯერი

შესყიდვების მენეჯერი

HR

სამეურნ. მხარდაჭერა

სპეც. სერვისები

საფინანსო სამსახური

ბიუჯეტირება და
ფინანსური ანალიზი

იურიდიული სამსახური

კორპორატიული მდივანი

კანცელარია

უსაფრთხოების სამსახური

სანიტარული კონტროლი

სახანძრო კონტროლი

ტრანსპორტის კონტროლის
სამსახური

განვითარების
დირექტორი

ბრენდის განვითარების
მენეჯერი

მარკეტინგული კვლევების
სამსახური

ცხელი ხაზი

IT განვითარების გუნდი

ტერიტორიის და
ინფრასტრუქტურის
განვითარების გუნდი

არქიტექტორი

ხარჯთაღრიცხვის მენეჯერი

მოვაჭრეებთან
ურთიერთობის
განვითარების სამსახური

კომერციული
დირექტორი

შემოსავლების მომსახურება

სერვის ცენტრის მენეჯერი

სერვის ოპერატორები

სერვის რუმები

მობილური სერვისების ჯგუფი

მოვაჭრეების საკონტრაქტო
მომსახურება

სამედიცინო დახმარების
გუნდი

სერვისების
განვითარების
პროექტების
კოორდინატორი

ინფრასტრუქტურის
დირექტორი

საერთო სარგებლობის
ინფრასტრუქტურის მიმდინარე
მომსახურება

გამწვანების ჯგუფი

დასუფთავების ჯგუფი

ავტოპარკი

საზ.ფუნქციონირების ჯგუფი

ენერგეტიკა

მიმდინარე სამშენებლო
სარემონტო სამუშაოების
ბრიგადა

კაპიტალური სამშენებლო
სამუშაოების ჯგუფი

მთავარი
ინჟინერი



წარმოებული კვლევები და განვითარების
მიმოხილვა

20 წლის იუბილე

2011 წელს კომპანიის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განხორციელდა კომპანიის სრული რებრენდინგი, კონკურსის წესით შეირჩა:

- *კომპანიის ლოგო
- *ადმინისტრაციის შენობა
- *რებრენდინგი
- *



20 წლის იუბილეს შემდგომ განახლებული ოფისით, მეტი პასუხისმგებლობით და მაღალი კორპორატიული თვითშეგნებით, “ლილო მოლი” კიდევ უფრო სწრაფად და მიზანმიმართულად აიღო განვითარებისა და თანამედროვე სავაჭრო ცენტრის აღმშენებლობის გეზი.

დღეს “ლილო მოლის” ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 112 - საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სამედიცინო პუნქტი, სახანძრო, გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური, შრომის უსაფრთხოების სამსახური, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „ლილო მოლის“ მაღალ პასუხისმგებლობას.



„ლილო მოლო“ ბიზნეს ასოციაციის წევრი

“ლილო მოლო” 2011 წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის - იმ ორგანიზაციის წევრი გახდა, რომელიც 70-ზე მეტ წამყვან კომპანიას აერთიანებს. მისი მთავარი დანიშნულებაა წევრი კომპანიების ლეგიტიმური და ობიექტური ბიზნეს ინტერესების წარდგენა ხელისუფლების წინაშე.

“ლილო მოლოს” გენერალური დირექტორი, ბატონი გიორგი კვარაცხელია სხვა წამყვან ბიზნესმენებთან ერთად საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

ხარისხის ნიშნის სერთიფიკატი


„ლილო მოლი“ დაარსების დღიდანვე ზრუნავს ხარისხის ამაღლებაზე და საამისოდ არაერთ ღონისძიებას ატარებს.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შეფასების მიზნით, აუდიტი განხორციელდა, და ევროპის ხარისხის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში კომპანია „ლილო მოლი“ ხარისხის ნიშნის სერთიფიკატი გადაეცა. ყოველწლიურად ტარდება ლილო მოლის აუდიტი ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.



ვებ-გვერდის და მობილური აპლიკაციის შექმნა

2016 წელს 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განახლდა “ლილო მოლის” ვებ-გვერდი და დამზადდა მობილური აპლიკაცია, რომელიც უმარტივეს “ლილო მოლის” მომხმარებელს შოპინგს და გადაადგილებას.



საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი

2018 წელს „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე გაიხსნა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი. კომპანიის პარკინგზე და რიგებში დამონტაჟდა 500-მდე ჰკვიანი კამერა, რაც საშუალებას გვაძლევს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში მოხდეს სწრაფი რეაგირება.

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის გახსნამ გაამარტივა შიდა უსაფრთხოების, სახანძრო და ოპერატიული სამსახურების კოორდინირებული მუშაობა. ცენტრის მცირე დროიანი მუშაობის მიუხედავად უკვე ძალიან ბევრი კმაყოფილი მომხმარებელი გვყავს, რომელებმაც სხვადასხვა ნივთები დაკარგეს ტერიტორიაზე და მალევე მოხდა ცენტრის გამართული მუშაობის შედეგად მათი მოძიება და დაბრუნება.

ცენტრსი მშენებლობაზე გააძლიერა უსაფრთხოება და დღითიდღე ვრცელდება თუ რაოდენ სასიკეთო და საჭირო არის 35 ჰექტარ ტერიტორიაზე ასეთი მაღალტექნოლოგიური საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის არსებობა.

ბიზნეს რეიტინგი მე-19 დაჯილდოება

2018 წელს კომპანია „ჯორჯიან თაიმსის“ და კვლევითი ორგანიზაციის „გორბის“ ორგანიზებით რიგით XIX ბიზნეს დაჯილდოება გაიმართა. სადაც მიწვეულნი იყვნენ მთავრობის და სხვადასხვა წარმატებული კომპანიების წარმომადგენლები.

„ლილო მოლის“ დაჯილდოებაზე გამარჯვებულ კომპანიათა რიგებში აღმოჩნდა და ის ერთადერთი კომპანია იყო, რომელმაც ღონისძიებაზე სამ ნომინაციაში გაიმარჯვა:

„მილიონობით ვიზიტორი წელიწადში“
„მომხმარებლის არჩევანი“
„უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი“



შრომის უსაფრთხოების სამსახური

კომპანია „ლილო მოლი“ დიდ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოების დაცვას. ამ მიზნით 2019 წელს „ლილო მოლში“ შეიქმნა შრომის უსაფრთხოების სამსახური. ჩვენ შევიმუშავეთ შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებას. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში გამოიკვეთა ძირითადი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:

- მენეჯმენტის პასუხისმგებლობა
- დასაქმებულთა პასუხისმგებლობა
- ტრენინგი
- გარემოს დაცვა
- უსაფრთხოების დაცვა ტექნიკური სამუშაოების შესრულების დროს
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE)
- კოლექტიური დაცვის საშუალებები

ჩვენ ვაღიარებთ საერთაშორისო HSSE პოლიტიკის ძირეულ ფასეულობად სამუშაოების დაგეგმვასა და მიმდინარეობას და მოველით მის ასეთსავე მიმდევრობას ყველასგან, მეიჯარეებისგან, თანამშრომლებისგან და პარტნიორი კომპანიებისგან.

ციფრული კომუნიკაციები მომხმარებელთან

2019 წელს მომხმარებლებისთვის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით რიგებში დამონტაჟდა მონიტორები, საერთო ჯამში 32 ცალი. ამჟამად ლილო მოლში რიგებში დამონტაჟებულია 32 სექციის მონიტორი და 2 გარე LED მონიტორი. აღნიშნულ მონიტორებზე მომხმარებელი იგებს უშუალოდ ადგილზე თუ რა შეთავაზებებია იმ წუთას „ლილო მოლის“ ამათუიმ მაღაზიაში, ასევე მონიტორებზე გადის სანავიგაციო რგოლები, რომელიც უყვება მომხმარებელს სექტორებისა და მაღაზიების მდებარეობის შესახებ.



„მელიორა 2019“

სოციალური პასუხისმგებლობის ყოველწლიურ კონკურს „მელიორაზე“ კომპანია „ლილო მოლიმა“ გაატარე ზაფხული საქართველოში კამპანია გაიტანა, რომლის ფარგლებში 2019 წლის აგვისტოში კომპანიამ 20 თანამშრომელი დასასვენებლად გაუშვა გონიოში. აღნიშნულმა პროექტმა მიიღო საერთაშორისო CSR ექსპერტების დადებითი შეფასება.

ეს უფრო მეტ სტიმულს და მოტივაციას მატებს მოლს, იყოს მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია.



„კოვიდ ცენტრი“

2020 წელს კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით „ლილო მოლში“ გაიხსნა კოვიდის სამართავი ცენტრი. ვირუსის კიდევ უფრო ეფექტურად სამართავად მოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ტესტირების ცენტრი, რომელმაც მისცა მეწარმეებს საშუალება, ადგილზე გაეცლოთ სავალდებულო პერიოდული ტესტირება, აღნიშნულმა ღონისძიებამ კი ხელი შეუწყო სავაჭრო მოლის შეუფერხებლად მუშაობას, თითოეულ დადებით შემთხვევაზე შესაძლებელი გახდა ადგილზევე ვირუსის სამართავად საჭირო ზომების მიღება.



განახლებული საიტი და აპლიკაცია

2020 წელს კორონა ვირუსის „ლილო მოლის“ საქმიანობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მიუხედავად კომპანიამ მაინც შეძლო წინა წელს დაგეგმილი ციფრული არხების განვითარება და გამოუშვა განახლებული საიმიჯო საიტი www.lilomall.ge, და მობილური აპლიკაცია. აპლიკაციამ კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა პანდემიის პერიოდში, რადგან მომხმარებელს მისცა შესაძლებლობა სახლიდანვე დაეგეგმა შოპინგი „ლილო მოლში“. აპლიკაციის მთავარი ფუნქცია არის ნავიგაცია, რომელიც მნიშვნელოვნად უმცირებს მომხმარებელს „ლილო მოლში“ ყოფნის დროს, რაც თავის მხრივ ამცირებს დაინფიცირების რისკებსაც.

მობილური აპლიკაციის გადმოწერა და ინსტალაცია შესაძლებელია როგორც ანდროიდის, ისე - IOS-ში. აპლიკაციაში მომხმარებელი მიუთითებს სასურველ მაღაზიას ან პროდუქციას, ნავიგაციის ნომრის მიხედვით, და შეძლებს, გაეცნოს სასურველ ადგილამდე მისასვლელ მარშრუტს. აპლიკაციის მეშვეობით მოლის 350 000 კვ.მ ტერიტორია მოლის ვიზიტორის მობილურში აღმოჩნდება.




ვაქცინაციის ცენტრი

2021 წელს “ლილო მოლის“ ადმინისტრაციის ინიციატივით, პანდემიასთან ეფექტური ბრძოლისათვის მოლის ტერიტორიაზე გაიხსნა ვაქცინაციის ცენტრი, სადაც „ლილო მოლის“ თანამშრომლებს, მეწარმეებს და ვიზიტორებს შესაძლებლობა მიეცათ ურიგოდ და წინასწარი ჩაწერის გარეშე აცრილიყვნენ ბაზარზე არსებული ნებისმიერი ვაქცინით. ცენტრი გაიხსნა “ლილო მოლის“ სრული დაფინანსებით, და მოსახლეობაში ვაქცინაციის პოპულარიზაციის მიზნით კომპანიის მიერ წამოწყებულ სოციალურ კამპანიაში არაერთი ცნობილი სახეც ჩაერთო.



ელექტრო დამტენები

2022 წელს, სავაჭრო ცენტრ "დილო მოლში" მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის უზრუნველსაყოფად პარკირებაზე ელექტრო მანქანების დამტენები დამონტაჟდა. მომხმარებლებს მანქანის დატენვა უფასოდ შეუძლიათ.





წარმოებული კვლევები

ვიზიტორების სტატისტიკის კვლევა

საცალო ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სექტორია, საქსტატის მიხედვით - 2020 წელს რეალური მშპ-ის შემცირებაში ყველაზე დიდი წილი სასტუმროებისა და რესტორნების, ტრანსპორტისა და საცალო ვაჭრობის დარგებზე მოდის. 2020 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ვაჭრობის დარგი 7% -იანი კლებით დაფიქსირდა. აღნიშნული სექტორის ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა „ლილო მოლი“, რომელსაც 2020 წელს 2-ჯერ შეეზღუდა ფუნქციონირება, ისე რომ 12 თვიდან ფაქტიურად 4 თვე მოლი დახურული იყო.

ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა სავაჭრო ობიექტის სტუმრები არიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ბითუმად მოვაჭრე მცირე მეწარმეები, ასევე - საცალო მოხმარების პროდუქტის შეძენის მოსურნე ფიზიკური პირები.


2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის აგვისტომდე „ლილო მოლს“ 3 784 286 ადამიანი ესტუმრა: აქედან - საკუთარი ავტომობილით - 2 199 350, სამარშრუტო ტაქსით კი - 584 936. ამას ერთვის „ლილო მოლის“ იმ მოიჯარეთა რაოდენობაც, რომლებიც სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით მოდიან სამუშაო ადგილებზე, რაც თვის განმავლობაში, დაახლოებით, 330 000 ვიზიტია. მომდევნო წლებში 2020 წლამდე აღნიშნული ციფრები კიდევ უფრო დინამიურია და საშუალოდ აღინიშნება 30%-იანი ზრდა.

კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ. მომდევნო წლებში ჩატარებულია შიდა ექსპრესს კვლევა, საკუთარი რესურსებით.

2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის აგვისტომდე „ლილო მოლს“ 3 784 286 სტუმარი ეწვია: აქედან - საკუთარი ავტომობილით - 2 199 350, სამარშრუტო ტაქსით კი - 584 936.


ამას ერთვის „ლილო მოლს“ იმ მოიჯარეთა რაოდენობაც, რომლებიც სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით მოდიან სამუშაო ადგილებზე, რაც თვის განმავლობაში, დაახლოებით, 330 000 ვიზიტია. მომდევნო წლებში აღნიშნული ციფრები კიდევ უფრო დინამიურია და საშუალოდ აღინიშნება 30%-იანი ზრდა.

წელიწადში ვიზიტორების
რაოდენობა სატრანსპორტო
საშუალებების მიხედვით



■ საკუთარი ავტომობილით


„ლილო მოლს“ ვიზიტორები



■ მომხმარებელი ■ მოიჯარეები

კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ. მომდევნო წლებში ჩატარებულია შიდა ექსპრესს კვლევა, საკუთარი რესურსებით.


„ლილო მოლის“ ტერიტორიაზე მომხმარებლები ერთი ვიზიტის განმავლობაში, საშუალოდ, 1-დან - 3 საათამდე ჩერდებიან, ამასთან, ყველაზე „აქტიური“, ე.წ. საბითუმო დღეებია: ორშაბათი, კვირა, ხუთშაბათი. როგორც გრაფიკიდან ჩანს, საბითუმო დღეებში, სტანდარტულ დღეებთან შედარებით, მომხმარებლების რაოდენობა თითქმის ორმაგდება.



კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ. მომდევნო წლებში ჩატარებულია შიდა ექსპრეს კვლევა, საკუთარი რესურსებით.

„ლილო მოლის“ მომხმარებლის კვლევა

ჩატარდა თბილისის სავაჭრო ცენტრების მომხმარებლების რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 400-მა რესპონდენტმა. გამოკითვის შედეგად, დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა - 70 % - ერთხელ მაინც ყოფილა „ლილო მოლში“ სხვადასხვა ნივთის შესაძენად. კვლევამ დაადგინა, რომ ვიზიტორების 64% დასაქმებულია და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას - 94% - სტაბილური შემოსავალი აქვს.




კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ. მომდევნო წლებში ჩატარებულია შიდა ექსპრეს კვლევა, საკუთარი რესურსებით.

მომხმარებლის სტატისტიკის კვლევა

გამოკითხულთა უმრავლესობა - **45%** - ძირითადად, ოჯახთან ერთად ეწვევა ხოლმე „ლილო მოლს“.


გამოკითხულთა **75%** მიიჩნევს, რომ „ლილო მოლში“ ივლიდა სხვადასხვა პირობის გაუმჯობესების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ის მომხმარებლები - **43%** -, რომლებიც „ლილო მოლში“ სტუმრობაზე უარს აცხადებენ, მთავარ მიზეზად ადგილმდებარეობას და ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემას ასახელებენ.

ძირითადად, ვისთან ერთად
დადიხართ სავაჭრო ცენტრში?



„ლილომოლში“ ვივლიდი,

თუკი:



კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში.


მომზადებულია კვლევითი

და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ. მომდევნო წლებში ჩატარებულია შიდა ექსპრესს კვლევა, საკუთარი რესურსებით.

სავაჭრო ცენტრი „ლილო მოლის“ წილი საცალო და საბითუმო ვაჭრობაში

2019 წლის განმავლობაში „ლილო მოლის“ მიერ საკონტროლო-საღარი აპარატით განხორციელებული ბრუნვის შესახებ


ბიზნეს სექტორის ბრუნვა



■ მთლიანად საბითუმო და საცალო ვაჭრობის
სექტორის ბრუნვა

ბიზნეს სექტორი	109 955 400 000 GEL
საცალო და საბითუმო ვაჭრობა	43 322 427 600 GEL
წილი %	39,4%


სავაჭრო ცენტრი „ლილო მოლის“ წილი
საცალო და საბითუმო ვაჭრობაში



■ მთლიანად „ლილო მოლის“ წილი

საცალო და საბითუმო ვაჭრობა	43 322 427 600 GEL
„ლილო მოლი“	905 876 917 GEL
წილი %	2,1%

სავაჭრო ცენტრი „ლილო მოლის“ წილი
ბიზნეს სექტორში



■ მთლიანად „ლილო მოლის“ წილი

ბიზნეს სექტორი	109 955 400 000 GEL
„ლილო მოლი“	905 876 917 GEL
წილი %	1%

2020 წელს შპს „ანოვას“ მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის მიხედვით „ლილო მოლის“ წილი საცალო და საბითუმო ვაჭრობაში 2019 წლის მონაცემებით შეადგენს 2.1%.

კვლევის შედეგების მიხედვით, მოიჯარეების უდიდეს ნაწილს (96%) მხოლოდ „ლილო მოლში“ აქვს მაღაზია, საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ „ლილო მოლის“ მოიჯარეების თითქმის მესამედისთვის (27%) არ არსებობს სხვა ადგილი „ლილო მოლის“ გარდა, სადაც ექნებოდათ სავაჭრო ობიექტი.

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, გამოკითხულთა თითქმის ნახევარს „ლილო მოლში“ არავინ ჰყავს დასაქმებული, თუმცა ზოგადად მოიჯარეები საშუალოდ ერთ ადამიანს ამუშავებენ.

კვლევაში მონაწილე მოიჯარეები „ლილო მოლის“ მთავარ უპირატესობად მომხმარებლის რაოდენობას (42%) და „ლილო მოლის“ ყურადღებიან ადმინისტრაციას (30%) ასახელებენ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოიჯარეთა 91%-სთვის „ლილო მოლი“ ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

2020 წელს შპს „ანოვას“ მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის მიხედვით



კონკურენტები

ბაზრობები

“ლილო მოლი” რეალურად პირდაპირი კონკურენტი არ გააჩნია, რადგან თბილისში არსებული სხვა ბაზრობები ბევრ პროდუქტს ბითუმად სწორედ „ლილო მოლში“ ყიდულობენ და შემდგომ თავიანთ ლოკაციებზე ახორციელებენ მათ რეალიზებას.

სამშენებლო სექტორიდან „ლილო მოლის“ მთავარ კონკურენტად „ელიავას ბაზრობა“ მოიაზრება, რომელიც, ტერიტორიული ადგილმდებარეობისა და მხოლოდ ვიწრო სექტორის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, შესაძლოა, უფრო მოსახერხებელი იყოს მომხმარებლისთვის.

იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ხსენებული ბაზრობები „ლილო მოლში“ ნაყიდი პროდუქტით მარაგდება, მოლის ეგრეთ წოდებული კონკურენტები, შესაძლოა, პარტნიორებადაც კი მოვიხსენიოთ.

მოღეზი

“ლილო მოლის“ რეალური არაპირდაპირი კონკურენტებია „ჰუალინგ თბილისის ზღვის პლაჟა“ და „ისთ ფოინთი.“
კონკურენტუნარიანობა გულისხმობს ამ მოღეზის ადგილმდებარეობას.

რაც შეეხება „თბილისი მოლს“ და „გალერია თბილისს“: ეს მოღეზი „იბირებენ“ იმ საშუალო შემოსავლიან სეგმენტს, რომლის წარმომადგენლებიც უპირატესობას ბრენდს ანიჭებენ, და ქალაქის ცენტრში სავაჭრო მოლის მდებარეობას.

დანარჩენი ორგანიზაციები - „სითი მოლი“, „ქარვასლა“ - ადგილმდებარეობისა და პროდუქტის თვალსაზრისით, შესაძლოა, არა - კონკურენტებად, არამედ „პარტნიორებად“ მოვიაზროთ.

კონკურენტუნარიან გარემოსთან ადაპტირება

ბოლო პერიოდში განვითარებული მსოფლიო მოვლენები და ონლაინ მაღაზიების ბუმი წარმოქმნის ცალკეულ სავაჭრო ცენტრებში მომხმარებლის დაკარგვის რისკს. ციფრული სამომხმარებლო ქცევის ჩამოყალიბების პარალელურად „ლილო მოლთან“ თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა ცალკეული კომპანია „ლილო შოპი“, რომელიც მომხმარებლებისთვის „ლილო მოლის“ პროდუქციის ონლაინ შესყიდვის, და მეწარმეებისთვის პროდუქციის გაყიდვის საშუალებას იძლევა.

ზემოთ ჩამოთვლილი არაპირდაპირი კონკურენტებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ლილო მოლმა სამომავლოდ გაითვალისწინოს შემდეგ პუნქტების მნიშვნელობა:

- მომხმარებლის ლოიალურობის ამაღლება
- ინფრასტრუქტურის მუდმივ განახლებაზე ზრუნვა
- პროდუქტების მრავალფეროვანი არჩევანისა და ფასის შენარჩუნება
- წინასწარ დაგეგმილი ეფექტური ღონისძიებების განხორციელება



შვილობილი კომპანიები

2016 წლის 19 მაისს, 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიხსნა „ლილო მოლის“ შვილობილი კომპანია - „ლილო ტვ“. 2019 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტელევიზიის რებრენდინგის სასარგებლოდ, „ლილო ტვ“-ს შეეცვალა იურიდილი დასახელება და ბრენდის სახელი. შპს „ლილო ტვს“ გადაერქვა შპს „ფოკუს სტუდო“, ხოლო ტელევიზიის ბრენდის სახელი გახდა „L TV“.

„L TV“ მეშვეობით, მომხმარებელს საშუალება ეძლევა, თვალი ადევნოს „ლილო მოლში“ მიმდინარე მოვლენებს, ასევე უყუროს გასართობ-შემეცნებით გადაცემებს და შინიდან გაუსვლელად გაიგოს უახლოესი ტენდენციების შესახებ მოდაში, სახლის ინტერიერსა თუ ტექნიკაში.

2021 წელს პანდემიის მიუხედავად „L TV“ ახალი განსხვავებული სეზონი დაიწყო და მაყურებელს ბევრი საინტერესო შემეცნებით -გასართობ გადაცემები შესთავაზა და მომავალშიც მომხმარებელს ბევრ სიახლეს ჰპირდება.

ასევე, შპს „ლილო მოლის“ შვილობილ კომპანიებს 2016 წლის 25 იანვრიდან წარმოადგენს შპს „ლილო ჩარტერი“ (406167142) და 2011 წლის 13 სექტემბერიდან „ჰელს მოლი“ (406054549). აღნიშნულ კომპანიებს მოცემული პერიოდისთვის შეჩერებული აქვთ საქმიანობა.

შპს “უნივერსალი-95“ (შემდგომში „შვილობილი“) საინდეტიფიკაციო ნომერი 208144257 რეგისტრირებულია 1995 წლის 4 დეკემბერს. იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 220გ, თბილისი, საქართველო. 2022 წლის მაისში მოხდა საწარმოს წილის შეძენა და 31 დეკემბრისთვის შპს „ლილო მოლი“ ფლობს 99,9%-იან წილს. შპს “უნივერსალი-95“ ტერიტორიის გამოყენება იგეგმება „ლილო მოლის“ განვითარებისთვის, კერძოდ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე იგეგმება „ლილო მოლის“ სავაჭრო სივრცის გაფართოება, ტერმინალის და მაღაზიების სივრცის გაფართოებით. ამ ეტაპზე პროექტის დაგეგმარება უკვე დასრულებულია და ველოდებით გენერალური გეგმის დამტკიცებას.



კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

BMW ფესტივალი ლილო მოლში

2019 წლის 9 ივნისს „ლილო მოლმა“ „BMW Club Georgia-ს“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა, რომელსაც 1000-მდე სტუმარი დაესწრო. სპეციალურად ამ დღისთვის ”BMW“-ს სტუმრები კოლონებით ჩამოვიდნენ მთელი საქართველოდან და მეზობელი ქვეყნებიდან. 17 საათზე მოხდა ”BMW“-ს კოლონით მსვლელობა თბილისის ცენტრალურ გამზირებზე, რომელიც ფიქსირდება მსოფლიო რეკორდად – ქალაქში ყველაზე მეტი ერთი ბრენდის ავტომობილის გავლის. ლილო მოლის ტერიტორიაზე ფესტივალის ფარგლებში ასევე მოეწყო საქართველოს დრიფტის სერიები, სადაც მონაწილეობა მიიღო 30-მდე პროფესიონალმა თუ მოყვარულმა დრიფტერმა.



სიკეთის თვე რაჭაში

2019 წლის 12 ივლისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ინიციატივით რაჭაში აქცია „ივლისი -სიკეთის თვე რაჭაში" განხორციელდა.

ღონისძიება „დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის" ორგანიზებით, კომპანია "ლილო მოლის", „ლიდერის", „თეატრალური კვარტეტის" , ასევე ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა. წელს „სიკეთის თვის" აქციაში რაჭაში მცხოვრებ 50-მდე ოჯახს გადაეცა სურსათი და სასაჩუქრე პაკეტები, მოეწყო ე.წ. „სიკეთის საღამოები" ბავშვებისთვის, და კულტურული ღონისძიებები.



გამომცემლობა პალიტრა ელ-ის წიგნების ფესტივალი ლილო მოლში

2019-2021 წლების 25 ივლისს (ყოველწლიურად) ლილო მოლმა გამომცემლობა პალიტრა ელ-ის წიგნების ფესტივალს უმასპინძლა. ფესტივალის ფარგლებში ლილო მოლის მომხმარებლებს ჰქონდა შესაძლებლობა 3 დღის განმავლობაში შეეძინათ ბესოსელური წიგნები 30-იდან 70% მდე ფასდაკლებით.



გაატარე ზაფხული გონიოში

2019 წლის აგვისტოში ტურიზმის მხარდასაჭერი კამპანიის „გაატარე ზაფხული საქართველოში“- ს ფარგლებში ლილო მოლმა ყველაზე ლოიალური და ამავედროულად სოციალურად დაუცველი 20 თანამშრომელი ოჯახის წევრით დასასვენებლად გაუშვა გონიოს ერთ-ერთ სასტუმროში, რომელსაც იმ ეტაპზე გაუჭირდა ნომრების გაქირავება. „ლილო მოლმა“ სრულად დაუფინანსა თანამშრომლებს 1 კვირიანი დასვენება და უზრუნველყო მათი ჩასვლა-ჩამოსვლა. ამ პროექტმა პოზიტიური გამოხმაურება გამოიწვია როგორც „ლილო მოლის“ თანამშრომლებს შორის, ასევე მეიჯარეებთან.



ფორტეს საიუბილეო კონცერტი ფილარმონიაში

2019 წლის ოქტომბერში „ლილო მოლი“ გახლდათ ანსამბლი „ფორტეს“ საიუბილეო კონცერტის გენერალური სპონსორი. კონცერტი ჩატარდა სცენაზე ფორტეს 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად დამას 20 000-მდე ღოაღური მაყურებელი, სრული ანშლაგით დაესწრო. ღონისძიება საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებითა და „ლილო მოლი“-ს მხარდაჭერით გაიმართება.



კამპანია „გაამწვანე ვარკეთილი“ „ლილო მოლთან“ ერთად

თბილისის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის რევაზ სოხაძის ინიციატივით დაწყებული კამპანიის „გაამწვანე ვარკეთილი“ ფარგლებში 2019 წლის 4 ნოემბერს მორიგი აქცია გაიმართა. აქცია კომპანია „ლილო მოლის“ მხარდაჭერით განხორციელდა და საერთო ჯამში ვარკეთილი 3-ში, IV მ/რ-ში, 425-ე კორპუსთან მდებარე ფეხბურთის მოედნთან 200 ძირი კედარის ხე დაირგო.



კამპანია სიგარეტის ნამწვის წინააღმდეგ

სიგარეტის ნამწვი დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ნარჩენია, რომელიც ძალიან დიდ ზიანს აყენებს გარემოს, კლავს ცხოველებს და ფრინველებს.

2021 წელს სწორედ ეკოლოგიურ გარემოზე დიდი ზეგავლენის გამო Letsdoit Georgia -ს ორგანიზებით სხვადასხვა ლოკაციებზე ნამწვრის ჩასაყრელი სპეციალური ყუთები განთავსდა.

"ლილო მოლში", როგორც საქართველოს ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრში, სიგარეტის ნამწვრის განსათავსებელი რამოდენიმე ყუთი განთავსდა.



პრემია საგურამო „ლილო მოლთან“ ერთად

ყოველ წელს 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის „პრემია“ საგურამო ტარდება. 2023 წელს ილიას დაბადებიდან 186 წელი აღინიშნა. წელს ტრადიციულად, უკვე მეცხრამეტედ, გაიცა პრემია "საგურამო" და ილიას მედალი.

კომპანია "ლილო მოლი" ტრადიციულად წელსაც გახლდათ ღონისძიების გენერალური სპონსორი.



უკრაინის დახმარების ცენტრი

2022 წელს, სავაჭრო ცენტრ "ლილო მოლში" უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი გაიხსა.

10 დღის განმავლობაში "ლილო მოლის" მეწარმეებსა და მომხმარებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, არამალფუჭებადი და პირველადი საჭიროების მქონე ნივთები მოეტანათ ცენტრში. საერთო ჯამში ჩვენი ჩართულობით 2-ჯერ გაიზარდა უკრაინაში პირველადი მოხმარების პროდუქცია.



უკრაინის მხარდასაჭერი მარათონი

2022 წელს, სავაჭრო ცენტრმა "ლილო მოლიმა" უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად კახეთში გამართულ საქველმოქმედო მარათონშიც მიიღო მონაწილეობა. მონაწილეების გამხნევებაზე კი „ლილო მოლის“ აპლიკაციამ იზრუნა.



ბავშვთა დაცვის დღე

2022 წელს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, სავაჭრო ცენტრმა "ლილო მოლმა" უკრაინელი ღვენილი ბავშვები და ვარკეთილი ბავშვთა ცენტრის მოზარდები გასართობ ცენტრში დაპატიჟა. უკრაინელი ბავშვებისთვის ასევე ჩატარდა ნახატების კონკურსი „არა ომს, მშვიდობა“ თემატიკაზე.



სკოლის დაწყება

2022 წელს, სავაჭრო ცენტრ "ლილო მოლის" დამფუძნებელმა ვაჟა უსანეთაშვილმა, და კომპანიის დირექტორმა გიორგი კვარაცხელიამ, ტრადიციულად ქანდას სკოლას სკოლის დაწყება მიულოცა. პირველ კლასელებმა კი „ლილო მოლისგან“ მიიღეს საჩუქრად სასკოლო ნივთები.



USAID-თან და სკოლებთან პარტნიორობა

2023 წელს, სავაჭრო ცენტრ "ლილო მოლის" შვილობილმა კომპანია „L TV“- USAID -ის სასკოლო განათლების პროგრამის ფარგლებში საკუთარი ფინანსური რესურსით განახორციელა ახალგაზრდული პროექტი "SchoolFest 2023". ამ პროექტის მიზანი მოზარდებში ისეთი საკითხების პოპულარიზაცია და წინ წამოწევაა, როგორებიცაა: კრეატიული უნარ-ჩვევების გააქტიურება, შემეცნებითი აზროვნების ხელშეწყობა, პროფესიული ორიენტაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ა. შ.

საერთო ჯამში პროექტში ჩაერთო 400-მდე სკოლის მოსწავლე, პროექტი 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცვა თბილისის 4 სკოლა.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ სტატია:

<https://www.marketer.ge/lilo-mall-taoba-z/>





აუცილებელი ძირითადი ფინანსური
და არაფინანსური მაჩვენებლები

აუცილებელი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2023 წელს შ.პ.ს „ლილო მოლი“-სა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული წლიური შემოსავალი 2022 წელთან შედარებით გაიზარდა. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ზრდა კი კომპანიას საშუალებას აძლევს, ოპტიმისტურად განეწყოს მოლის სამომავლო გეგმების შესასრულებლად.

2023	კონსოლიდირებული თანხა
საერთო მოგება	37,67 მლნ
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	22,5 მლნ
წმინდა მოგება	18,88 მლნ

2022	კონსოლიდირებული თანხა
საერთო მოგება	38,7 მლნ
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	25,5 მლნ
წმინდა მოგება	22,0 მლნ

აუცილებელი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

აუცილებელ ძირითად არაფინანსურ მაჩვენებელთა თვალსაზრისით, ხაზგასასმელია „ლილო მოლის“ ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის გააქტიურება.

სოციალურ ქსელში მომხმარებლისთვის მომზადებულმა სპეციალურმა ვიდეო რგოლებმა, რომლებიც „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე ვაჭრობას ამარტივებს, მომხმარებელთა ზრდა გამოიწვია.

2016 წელს თუ სოციალურ ქსელში 32 000 „მომყოლი“ გვყავდა,
2017 წლის ბოლოს მათი რიცხვი 100 000 მდე გაიზარდა და
2023 წლის დეკემბრის თვეში გვერდს უკვე 175,000 მომხმარებელი ჰყავს.

ინტერნეტ აპლიკაციის და ვებ გვერდის განვითარებამ ხელი შეუწყო მომხმარებლებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას.

სუბიექტის განვითარების გეგმები

ახალი მეტროსადგურის მშენებლობა „სამგორი-ლილო მოლი“

2018 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ დაანონსა ახალი მიწისზედა მეტროს მშენებლობა „სამგორი - ლილო მოლი“.

კომპანია „ლილო მოლი“ რამოდენიმე წლის წინ წარმოადგინა საქართველოს მთავრობასთან მეტროს მშენებლობის გენერალური გეგმა და კვლევა, რომლის საფუძველზეც ძალიან დიდი სარგებელს მოუტანს მეტროსადგური მოყვანა ამ ტერიტორიაზე მოსახლეობას, განიმუხტება ქალაქში საცობების პრობლემა, რუსთავსა და ლილოს დასახლებებში მიმოსვლა მეტროსადგურით ბევრად უფრო კომფორტული და მოსახერხებელი იქნება მოსახლეობისთვის ვიდრე სამარშუტი ტაქსებით.

ამასთანავე მეტროსადგურის მშენებლობას ლილო მოლისთვის კომერციული ინტერესიც აქვს, რათქმაუნდა მოსახერხებელი ტრანსპორტით გაიზრდება ვიზიტორების რიცხვი და კომპანია კიდევ უფრო მოტხოვნადი გახდება თავისი მრავალფეროვანი არჩევნით და ხელმისაწვდომი ფასით.

ამ ეტაპზე მთავრობის მხრიდან პროექტის ტექნიკური მხარის მოკვლევის პერიოდი დასრულებულია და ველოდებით სახელმწიფო ბიუჯეტში მეტროს მშენებლობის ხარჯვითი ნაწილის დაბიუჯეტებას, რათა დაიწყოს პროექტი. პროექტის განხორციელებას ფინანსურ ნაწილში ხელი შეუშალა ასევე გლობალურმა პანდემიამაც. შესაბამისად პროექტის განახლების დროს კომპანია „ლილო მოლი“ აპირებს მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთოს ამ აღმშენებლობით პროცესში და თავის წილი პასუხისმგებლობაც გაითავისოს.

გენგემა საბითუმო სექტორის რეკონსტრუქცია

საბითუმო სექტორი „ლილო მოლის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მეშვეობით მარაგდება საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულება.

დღესდღეობით საბითუმო სექტორის მდგომარეობა აღარ შეესაბამება შესაბამის საერთაშორისო მოთხოვნებს და საჭიროებს სტრუქტურულ განახლებას. ამ ეტაპზე პროექტი გენ გემის სახით შედგენილია და ველოდებით მერიასთან დამტკიცებას. გლობალური პანდემიური გამოწვევების გამო აღნიშნული პროექტი 1 წლით გადაიწია. შესაბამისად მომდევნო წლიდან იგეგმება საბითუმო სექტორის სრული რეკონსტრუქცია.

2022 წელს ”ლილო მოლმა“ შეიძინა მიმდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზეც სამომავლოდ აპირებს კიდევ უფრო დიდი სატერმინალო ზონის მოწყობას.

ერთიანი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა

2022 წელს გენ გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ლილო მოლში ერთიანი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 785 500 ლარს. წყლის ეფექტურად მართვა, დაბინძურების ეფექტურად პრევენცია და წყლის ამოღების საკონტროლო მექანიზმების არარსებობა იმ ძირითად პრობლემებს წარმოადგენს, რომლებიც ამ ეტაპზე ლილო მოლის ტერიტორიაზე წყლების კონტროლის კუთხით კომპანიას გააჩნია. 2019 წელს საკანალიზაციო სისტემის მოსაწყობად დანადგარების სახით ლილო მოლმა საერთო ჯამში გაიღო 267783 ლარის ინვესტიცია. სახარჯთაღვრიცხო ღირებულება პროექტის განსახორციელებლად შეადგენს 465528 ლარს, რაც კომპანიაში 2019 წელს დაბიუჯეტდა. ამ ეტაპზე პროექტი განხორციელების პროცესშია და უკვე სანახევროდ შესრულებულია.

რეკლამა


2020 წლის კვლევებით დადგინდა, რომ „ლილო მოლის“ მომხმარებელი ყველაზე კარგად რეაგირებს სოციალურ მედიაში მიწოდებულ ინფორმაციაზე. ამიტომ მარკეტინგის სამსახურმა გადაწყვიტა, მაქსიმალურად გამოიყენოს ეს გარემოება და დააინტერესოს მოლის მეწარმეები სოც მედიაში რეკლამის გაკეთების აუცილებლობაში. გარდა სოც მედიისა, ლილო მოლი აგრეთვე გარე კომპანიებსაც სთავაზობს შიდა საკომუნიკაციო არხების ათვისებას, ეს მომსახურებაც აგრეთვე აქტუალურია სხვადასხვა კომპანიებთან.

სად შეიძლება განთავსდეს რეკლამა „ლილო მოლში“:

- ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება და ფლაერების დარიგება კონტროლირებადი და ფასიანი ხდება.
 - ტერიტორიაზე განთავსებული მონიტორები
 - ტერიტორიაზე განთავსებული ბანერები და ბილბორდები
 - ლილო ტვ
 - სპეციალური სარეკლამო რგოლის დამზადება ლილო ტვ-ს მეშვეობით.
- მეწარმეების მაღაზიების ფოტოგადაღების შეთავაზება, მოლის პოპულარულ სოციალურ ქსელში განთავსება და სხვ.



ინფორმაცია ფინანსური რისკების
მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის
მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად



„ლილო მოლის“ ყოველთვიური შემოსავლების სტაბილურობა და სიმყარე , იძლევა იმის საშუალებას , რომ კომპანიამ სამომავლო განვითარების გეგმები სისრულეში მოიყვანოს. დასახული მიზნებისა და პოლიტიკის მისაღწევად, კომპანია „ლილო მოლი“ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში გამოიყენებს საკუთარ ფინანსურ რესურსებს. რაც შეეხება მოკლევადიან და სწრაფად შესასრულებელ გეგმებს, შესაძლოა კომპანიამ ისარგებლოს საბანკო კრედიტით. მით უფრო, რომ შემოსავლების სტაბილურობა, იძლევა კომპანიაზე ბანკის მიერ გაცემული სესხების უპრობლემოდ დაფარვის გარანტიას. ამ გარემოებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მუდმივად ვიფიქროთ კომპანიის გაფართოვებასა და სამომავლო განვითარებაზე.



საკრედიტო , საბაზრო ლიკვიდურობის და
ფინანსური ნაკადების რისკების მიმოხილვა და
ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის
შესახებ.

ამ ეტაპზე ლილო მოლის საკრედიტო ვალდებულება მის შემოსავლებთან მიმართებაში გონივრულად შეწონილია და მათი თანაფარდობა(ლიკვიდურობა) კომპანიისთვის არ წარმოადგენს სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია სტაბილური შემოსავლები, მისი ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ტერიტორიული გაფართოვების მიზნით (მიწების შეძენა; ავტოსადგომების და სამშენებლო სამუშაოები და სხვა) საჭირო გახდა დამატებითი შემოსავლების მოძიება საკრედიტო ვალდებულების სახით.

პარტნიორ ბანკთან (ვი თი ბი ბანკი) თანამშრომლობის და მათ მიერ გაწეული კონსულტაციების და ანალიზის საფუძველზე აღებულია საკრედიტო ვალდებულებამ, გაზარდა კომპანიის მოგება და კაპიტალი, რაც თავისთავად დადებითად აისახა ლილო მოლის განვითარების სამომავლო გეგმებზე.

ლილო მოლში განხორციელებული ინფრასტრუქტურული თუ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები გათვლილია მოიჯარეების და მომხარებლების ინტერესებზე დაყრდნობით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

შენიშვნა : ლილო მოლს არ გააჩნია აქციები და შესაბამისად აქციების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი მმართველობით ანგარიშგებაში.



ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნეს სექტორის ყველა წარმომადგენელმა განვითარებისა და წარმატების გზაზე უნდა განსაზღვროს რისკი და იზრუნოს მის დროულ ლიკვიდაციაზე.

„ლილო მოლის“ სამომავლო ინფრასტრუქტურული, ფინანსური თუ მარკეტინგული საქმიანობის განვითარებას თან სდევს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ბუნებრივი სტიქიური მოვლენები : წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ
- გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი : ხანძარი
- ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური გარემოებები
- ინფლაცია, ვალუტის არასტაბილურობა
- კონკურენტების მიერ ფასების დემპინგი
- ეპიდემია, ვირუსის მასიური გავრცელება

„ლილო მოლი“ წინასწარ ზრუნავს მაღალი რისკ ფაქტორების თავიდან ასაცილებლად:

- მოლის ტერიტორიაზე არსებული ყველა მაღაზია დაზღვეულია სტიქიურ უბედურებასა და ხანძარზე.
- შ.პ.ს „ლილო მოლის“ ქონება დაზღვეულია.
- მოიჯარეების ქონების თითქმის 100 % დაზღვეულია.
- ფინანსური ინფლაციისა და ვალუტის არასტაბილურობისგან გამოწვეული ზარალის თავიდან ასაცილებლად იჯარის თანხები ფიქსირდება უცხური მყარი ვალუტით (ა.შ.შ.დოლარი)
- შიდა შრომის უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს უსაფრთხო ვაჭრობას



ტობ 2008

შპს „ტობ 2008“

საქართველო, ქ. გარდაბანი, დაღმაშენებლის ქ. №129; საიდენტიფიკაციო კოდი № 226579574; საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ (კოდი) LBRTGE22; **ტელეფონი 599 58 16 51** ანგარიშის ნომერი: GE87BL0113157902407000; მიმღები: შპს „ტობ 2008“; მეილი ramaz.1951@mail.ru; <ramazm98@gmail.com> .tob20081951@yahoo.com

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

შპს „ლილო მოლის“ დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლილო მოლისა“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ლილო-ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ლილო მოლის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ლილო ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 04 ოქტომბერს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2023 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან ნაღდი ფულისა და მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის თაობაზე ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურადაა აღწერილი ჩვენს დასკვნაში, კერძოდ ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში“. ჩვენს დამოუკიდებლეს ვართ შპს „ლილო ჯგუფისაგან“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია, ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

დავადგინეთ, რომ არ არსებობს „აუდიტის ძირითადი საკითხი“, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად. ასევე პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს შპს „ლილო მოლისა“ და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ლილო ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად იმ შემთხვევაში მიიჩნევა თუ მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ისინი ცალკ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ აუდიტის პროცესში პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე იმის რისკი, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა. რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება შპს „ლილო ჯგუფის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასების დასაბუთებას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენასთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს „ლილო ჯგუფის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შესაძლებელია შპს „ლილო მოლი“ ან/და მისი შვილობილი კომპანიები უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს. ასევე, ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს ინფორმაციას ვაწვდით, სხვასთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ასევე მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები. მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და საკითხის შესახებ, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელია მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე ვაცნობეთ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და შესაბამისად, აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება, ან უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორულ დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება. რადგან მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ამგვარი ქმედებით გამპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი გადააჭარბებს ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე

ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებათა აზრად

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს სხვა აუდიტორს და გამთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია რამაზ მეფარიშვილი. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-305295)

შპს ტობ 2008 (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-573522)

პატივისცემით,

რამაზ მეფარიშვილი

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი 23.12.2024წ

შპს ტობ 2008

[Type here]

შპს „ლილო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული პერიოდისთვის

ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება

კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებათა აზრად

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს სხვა აუდიტორს და

გამთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია რამაზ მეფარიშვილი. (აუდიტორთა

სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-305295)

შპს ტობ 2008 (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-573522)

პატივისცემით,

რამაზ მეფარიშვილი

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი 23.12.2024წ

შპს ტობ 2008



ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	84,152,964	83,702,070
არამატერიალური აქტივი	7	1,701,254	1,709,630
საინვესტიციო ქონება	8	34,096,541	33,804,679
გუდვილი	15	7,047,480	7,047,480
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		126,998,238	126,263,859
მარაგები	4	136,891	78,101
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,371,453	4,224,968
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	709,282	389,017
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		2,217,626	4,692,086
სულ აქტივები		129,215,865	130,955,945
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,797,580	1,797,580
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		27,968,472	29,111,422
გადაფასების რეზერვი		94,122,438	94,122,438
სულ კაპიტალი		123,888,490	125,031,440
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	3,780,804	4,614,312
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,780,804	4,614,312
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	567,646	280,670
მოკლევადიანი სესხები		0	281,400
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	10	978,925	748,123
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,546,571	1,310,193
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		129,215,865	130,955,944

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი ხათუნა ანთიძე



სრული შემოსავლის ანგარიშგება 31.12.2022 დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2021
ამონაგები	11	39,197,725	39,652,210
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		(1,527,831)	(1,376,190)
საერთო მოგება		37,669,894	38,276,020
საოპერაციო ხარჯები	13	(10,539,399)	(10,367,448)
ცვეთის ხარჯი		(550,080)	(1,881,323)
სულ საოპერაციო ხარჯები		(11,089,475)	(12,248,772)
არასაოპერაციო შემოსავალი	12	389,587	2,476,313
არასაოპერაციო ხარჯები	14	(4,166,007)	(3,582,774)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	14	(340,134)	556,826
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(4,116,554)	(549,636)
მოგება დაბეგვრამდე		22,463,861	25,477,613
მოგების გადასახადი		(3,581,959)	(3,465,580)
წმინდა მოგება (ზარალი)		18,881,902	22,012,033
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასებით მიღებული შემოსავალი	6	0	85,333,102
სულ სრული შემოსავალი		18,881,902	107,345,135

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი: ხათუნა ანთიძე



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 31.12.2023 წ. დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	გადაფასე ბის რეზერვი	ჯამი
ნაშთი 31/12/2019წ მდგომარეობით	1,797,580	24,363,102		26,160,682
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		15,603,950		15,497,667
გადახდილი დივიდენდი		-14,644,698		-14,644,698
ნაშთი 31/12/2020წ მდგომარეობით	1,797,580	25,322,354		27,119,934
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		19,019,184		19,019,184
გადახდილი დივიდენდი		-17,934,242		-17,934,242
ნაშთი 31/12/2021წ მდგომარეობით	1,797,580	26,407,296		28,204,876
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		22,012,033		22,012,033
შესყიდვით შემოსვლა			8,789,336	8,789,336
გადაფასებით მიღებული			85,333,102	85,333,102
გადახდილი დივიდენდი		-19,307,907		-19,307,907
ნაშთი 31/12/2022წ მდგომარეობით	1,797,580	29,111,422	94,122,438	125,031,440
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		18,881,902		18,881,904
გადახდილი დივიდენდი		-20,024,852		-20,024,852
ნაშთი 31/12/2023 წ მდგომარეობით	1,797,580	27,968,472	94,122,438	123,888,490

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი: ხათუნა ანთიძე



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2023 დასრულებული წლისთვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	22,463,861	25,477,613
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	550,080	1,881,323
მოგების გადასახადი	(3,581,959)	(3,465,580)
ფინანსური ხარჯი	340,144	(556,826)
(მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	312,678	706,505
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	20,084,806	24,043,036
სამუშაო კაპიტალში ცვლილება:		
შემცირება/(ზრდა) სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში	(58,790)	44,617
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,853,515	(215,907)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	286,975	(148,021)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საშემოსავლო გადასახადამდე და გაცემულ პროცენტამდე	23,166,506	23,723,724
გადახდილი პროცენტები	(198,390)	(521,447)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან	22,968,116	23,202,277
ფულადი ნაკადები სინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,521,640)	(608,623)
არამატერიალური აქტივების შეძენა		0
გრძელვადიანი ინვესტიციის შეძენა		(7,243,929)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	93,015	161,878
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,428,625)	(7,690,674)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	2,015,952	9,453,173
სესხის დაფარვა	(2,899,760)	(5,967,549)
დივიდენდის გადახდა	(20,024,852)	(19,307,906)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	(20,908,658)	(15,822,283)
წმინდა ცვლილება ფულში და ფულის ეკვივალენტებში	630,833	(310,679)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(310,568)	22,091
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით	389,017	677,606
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით	709,282	389,017

დირექტორი: გიორგი კვარაცხელია

მთ.ბუღალტერი: ხათუნა ანთიძე



ბიზნეს სექტორის ყველა წარმომადგენელმა განვითარებისა და წარმატების გზაზე უნდა განსაზღვროს რისკი და იზრუნოს მის დროულ ლიკვიდაციაზე.

„ლილო მოლის“ სამომავლო ინფრასტრუქტურული, ფინანსური თუ მარკეტინგული საქმიანობის განვითარებას თან სდევს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ბუნებრივი სტიქიური მოვლენები : წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ
- გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი : ხანძარი
- ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური გარემოებები
- ინფლაცია, ვალუტის არასტაბილურობა
- კონკურენტების მიერ ფასების დემპინგი
- ეპიდემია, ვირუსის მასიური გავრცელება

„ლილო მოლი“ წინასწარ ზრუნავს მაღალი რისკ ფაქტორების თავიდან ასაცილებლად:

- მოლის ტერიტორიაზე არსებული ყველა მაღაზია დაზღვეულია სტიქიურ უბედურებასა და ხანძარზე.
- შ.პ.ს „ლილო მოლის“ ქონება დაზღვეულია.
- მოიჯარეების ქონების თითქმის 100 % დაზღვეულია.
- ფინანსური ინფლაციისა და ვალუტის არასტაბილურობისგან გამოწვეული ზარალის თავიდან ასაცილებლად იჯარის თანხები ფიქსირდება უცხოური მყარი ვალუტით (ა.შ.შ.დოლარი)
- შიდა შრომის უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს უსაფრთხო ვაჭრობას.

გენერალური დირექტორი:



გიორგი კვარაცხელია